”დი-ნა-მო”!

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის ”დინამოს” სტადიონი. 11 ნოემბერი.

”დინამო” (თბილისი) – ”ყუბანი” (კრასნოდარი) 2:0 (1:0).

”დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, კაკილაშვილი, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ცავა), ჩელებაძე (ჯოხაძე), შენგელია.

”ყუბანი”: ბალახნინი, სემენიუკოვი, ჩებოტარიოვი, კომაროვი, ჩუგუნოვი, ჟურავჩაკი, ლაგოიდა, კალეშინი, პლოშნიკი, კოლესოვი, ჰასანოვი.

მსაჯი: ა. შევჩენკო (მოსკოვი).

მაყურებლები - 29.500.

მიმდინარეობდა მატჩის მე-2 წუთი, როცა შენგელია ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ”ყუბანის” საჯარიმო მოედანზე და ოდნავ ააცილა დარტყმა მიზანს. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ კრასნოდარელი ფეხბურთელები, რომელთათვისაც ამ მატჩს არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, არ იბრძოლებდნენ ძალების მაქსიმალური დაძაბვით და იოლად შეურიგდებოდნენ წაგებულთა ხვედრს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ”ყუბანმა” გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო, შესწირა თამაშს მთელი ძალა და, რახან ეს ასეა, მით უფრო საპატიოა თბილისელ ფეხბურთელთა ეს ბოლო გამარჯვება, მით უფრო საპატიოა რამაზ შენგელიას მიერ ალალად, ნამდვილ ბრძოლაში გატანილი ორივე ბურთი.

21-ე წუთზე დინამოელებმა მარჯვენა ფლანგის სიღრმიდან წამოიწყეს შეტევა, შემდეგ ცენტრში გადაიყვანეს ბურთი და იქ თავით ზუსტად ითამაშა შენგელიამ - 1:0.

სტუმრები ტაიმის დასასრულამდე ცდილობდნენ როგორმე გამოესწორებინათ მდგომარეობა, მართალია, ”დინამოს” კართან მათ სახიფათო ბევრი არაფერი შეუქმნიათ, საკუთარ ნახევარზე კი შუპოვრად იცავდნენ თავს.

მეორე ნახევარში თამაში თითქმის მთლიანად ”ყუბანის” ნახევარზე მიმდინარეობდა, სახიფათო მომენტებს თვლა არა ჰქონდა. 63-ე წუთზე სვანაძე წამითი ღიად დარჩა კარის წინ. მაგრამ საკუთრივ გოლის გატანას არჩია ასისტენტობა გაეწია შენგელიასთვის, სწრაფად გადასცა მას ბურთი და ეს უკანასკნელიც ვალში არ დარჩა პარტნიორს - 2:0.

დარჩენილ დროში დინამოელებს კიდევ არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღწიათ წარმატებისთვის. მიეღწიათ დიდი ანგარიშით მოგებისთვის, მაგრამ მეკარე ბალახნინმა და მცველებმა შეძლეს ”ყუბანის” კარის უვნებელყოფა.

2:0 - ასე მოიგო თბილისის ”დინამომ” დასკვნითი მატჩი კრასნოდარელებთან და განიმტკიცა საპატიო მესამე ადგილი.

რ. ქორიძე.

”ლელო”, 12 ნოემბერი 1981 წ.

თბილისის ”დინამო” - სსრ კავშირის ჩემპიონატის
ბრინჯაოს მედლის მფლობელი!

დასასრულს უახლოვდება 1981 წლის საფეხბურთო სეზონი, გუშინ კი ფინიში ჰქონდა სსრ კავშირის 44-ე ჩემპიონატს.

თბილისის დინამოელებმა დასკვნითი მატჩი მთელი მონდომებით, სრული შემართებით ჩაატარეს კრასნოდარის "ყუბანთან", მორიგი გამარჯვება ჩაიწერეს თავიანთ აქტივში და ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს.

ეს დიდი წარმატებაა! ფეხბურთის მოყვარულებმა, საქართველოს მთელმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ, ფართო სპორტულმა წრეებმა კარგად იციან თუ რა ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს წლეულს თბილისის დინამოელებმა, მათს ჩამოთვლას არ შევუდგებით. 1981 წელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი სახელოვანი გუნდის მდიდარ ისტორიაში. არასდროს, არც ერთ პერიოდში ჩვენს ფეხბურთელებს არ ჰქონიათ ასეთი წარმატებები, ამიტომ თითოეული ჩვენგანის გული აღვსილია სიხარულით, ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს ვულოცავთ ამ შესანიშნავად განვლილ სეზონს, მთელს კოლექტივს ვუსურვებთ ახალ გამარჯვებებს, ახალ წარმატებებს.

"ლელო", 12 ნოემბერი 1981 წ.